ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5707263

ნომერი: AR1864910

თარიღი : 29.11.2021

გაცემის თარიღი : 30.11.2021

გაცნობის თარიღი : 06.12.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ფურცელაძე პ/ნ 01006008957
- ქ. თბილისი,

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების
პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურს 2021 წლის 29 ნოემბერს AR1864910 განცხადებით მომართა სოფიო ფურცელაძემ და მოითხოვა სამსახურის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი ; ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისში (ს/კ: № 81.02.22.170, ფართობი: 3001.0 კვ.მ.) რვა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო 2020 წლის 07 სექტემბრის № 5093392 და 2020 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებით № 5145494 შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ახალი საკადასტრო კოდის, ფართობის და კონფიგურაციის დაფიქსირება.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა და შეიცვალა ნაკვეთის კონფუგურაცია, საკადასტრო კოდი და ფართობი. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა- ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N 81.02.22.286, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 372 კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.289, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 373 კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი

20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.290, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 358 კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.288, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 379კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.287, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 385კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.285, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 371კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.284, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 378კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
(საკადასტრო კოდი: N 81.02.22.283, განცხადების ნომერი: 882021665792, მომზადების თარიღი: 20/08/2021; ფართობი: 385 კვ.მ.;) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021665792, რეგისტრაციის თარიღი 20/08/2021წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №4878749 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.